

# საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის

ბრძანება №03/108

2013 წლის 5 ივლისი

ქ. თბილისი

## „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს“ დანართიდან ამოღების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. ბათილად იქნეს ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006 წ., №9; ნაწ. IV; გვ.49) დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

2. ამ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, დაევალოს სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) და სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) უზრუნველყონ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში.

3. სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) დაევალოს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) დაევალოს სათანადო სამუხეუმო სივრცის შესაქმნელად და ამ სივრცეში საყდრისი-ყაჩაღიანის

არქეოლოგიურ ზონაში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების გადასატანად კომპანია „RMG“-სა და სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

5. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა განხორციელდეს 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნების დღიდან.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

**მინისტრი**

**მირიანე ოდიშარია**